ბარათი N1

სიტუაცია:

ერთ-ერთ ბანკში მაქვს ანგარიში და ინტერნეტბანკით ხშირად ვსარგებლობ - კომუნალურებს, ინტერნეტის გადასახადს სახლიდან გაუსვლელად ვიხდი. ჩემი ბანკისგან SMS მივიღე, რომელშიც მატყობინებს, რომ ჩემი ინტერნეტბანკი დაიბლოკა და იმისთვის, რომ აღვადგინო, სასწრაფოდ უნდა გადავიდე SMS შეტყობინებაში მოცემულ ბმულზე და შევიყვანო ჩემი ინტერნეტბანკის მომხმარებლის სახელი და პაროლი.

კითხვები მსჯელობისთვის:

- არის თუ არა ეს სიტუაცია საეჭვო?
- თუ კი, რომელი ნაწილია საეჭვო? რომელი ნაწილია ჩვეულებრივი?
- რას გააკეთებდით საფრთხის თავიდან ასაცილებლად?

ფინანსური უსაფრთხოება

ბარათი N2

სიტუაცია:

დღეს ფეისბუქს ვსქროლავდი და მობილური ინტერნეტის რეკლამა შემხვდა. თუ მივიღებდი გათამაშებაში მონაწილეობას, შემეძლო 100 GB მობილური ინტერნეტი მომეგო. საიტი რომ გავხსენი, გათამაშების დასრულებამდე 50 წამი რჩებოდა, ამიტომ სწრაფ-სწრაფად უნდა შემეყვანა ყველა ინფორმაცია რასაც მთხოვდნენ, ასევე ჩემი ბარათის მონაცემებიც, რომ ჩემი ნამდვილობა დამედასტურებინა. რეგისტრაციის დასრულებისას, ტელეფონზე ავტორიზაციის კოდიც მომივიდა, რომელიც დასადასტურებლად უნდა შემეყვანა.

კითხვები მსჯელობისთვის:

- არის თუ არა ეს სიტუაცია საეჭვო?
- თუ კი, რომელი ნაწილია საეჭვო? რომელი ნაწილია ჩვეულებრივი?
- რას გააკეთებდით საფრთხის თავიდან ასაცილებლად?

ფინანსური უსაფრთხოება

ბარათი N3

სიტუაცია:

ბავშვი ეტლს აღარ იყენებს და რადგან კარგ მდგომარეობაში იყო, საიტზე დავდე გასაყიდად. მალევე დამიკავშირდნენ ჩემს ნომერზე. მომწერა, რეგიონში ვარ, მაგრამ ძალიან მომეწონა ეს ეტლი ამ ფასად და თუ გამომიგზავნი, მე თვითონ გადავიხდი ტრანსპორტირებას და ყველაფერსო. ჩემთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა სად გავაგზავნიდი, მე მაინც არ ვიხდიდი გაგზავნის თანხას და დავთანხმდი. საკურიეროს საიტი გამომიგზავნა, ყველაფერი გადახდილია უკვე ჩემგან და კურიერი 2 საათში გამოვაო. ფული რომ დამჯდარიყო ჩემს ბარათზე, ამ საკურიეროს საიტზე უნდა შემეყვანა ბარათის მონაცემები. შემდეგ კი დასადასტურებლად კოდი მომივიდა ტელეფონზე.

კითხვები მსჯელობისთვის:

- არის თუ არა ეს სიტუაცია საეჭვო?
- თუ კი, რომელი ნაწილია საეჭვო? რომელი ნაწილია ჩვეულებრივი?
- რას გააკეთებდით საფრთხის თავიდან ასაცილებლად?

ფინანსური უსაფრთხოება

ბარათი N4

სიტუაცია:

უმუშევარი ვარ უკვე 3 თვეა. დანაზოგი, რაც მუშაობის პერიოდში დავაგროვე, სტაბილურად მეყოფა კიდევ 4-5 თვე. თანხა დეპოზიტზე მიდევს, თუმცა სარგებელს დიდად ვერ ვნახულობ. მსურს თანხა დავაბანდო უფრო სარფიანად, რადგან თუ სამსახური ისევ ვერ ვიშოვე, რაღაც შემოსავალი მაინც მქონდეს. ბიძაჩემმა მითხრა, რომ მისი მეგობარი თანხებს სესხულობს ასე არაოფიციალურად ჩემნაირი ადამიანებისგან და თავის საქმეში აბანდებს (ავეჯის ქარხანა აქვს მგონი), სარგებელსაც მაღალს იხდის, და ბოლოს თანხასაც დამიბრუნებს. მომეწონა ეს შეთავაზება. უნდა დავფიქრდე.

კითხვები მსჯელობისთვის:

- არის თუ არა ეს სიტუაცია საეჭვო?
- თუ კი, რომელი ნაწილია საეჭვო? რომელი ნაწილია ჩვეულებრივი?
- რას გააკეთებდით საფრთხის თავიდან ასაცილებლად?

ფინანსური უსაფრთხოება

ბარათი N5

სიტუაცია:

წლების წინ საკუთარი სახლი გავყიდე, ახალი ბინა ვიყიდე და თანხაც დამრჩა. ეს ფული დეპოზიტზე მიდევს, მაგრამ დიდ მოგებას ვერ ვნახულობ. ცოტა ხნის წინ, ინტერნეტში ერთ-ერთი მსხვილი კომპანიის რეკლამა ვნახე, რომელიც თავის აქციებს ჰყიდის. არ ვიცი სად მდებარეობს ეს კომპანია და რა ბიზნესი აქვს, ვერსად ვნახე ეგ ინფორმაცია, მაგრამ ძალიან ბევრი აქებს და თან აქციების ყიდვა ონლაინ არის შესაძლებელი. ვფიქრობ, ჩემი დანაზოგი ამ კომპანიის აქციებში დავაბანდო, რადგან გაცილებით მეტ სარგებელს მივიღებ ზემოდან, ვიდრე ახლა დეპოზიტის პროცენტში ვიღებ.

კითხვები მსჯელობისთვის:

- არის თუ არა ეს სიტუაცია საეჭვო?
- თუ კი, რომელი ნაწილია საეჭვო? რომელი ნაწილია ჩვეულებრივი?
- რას გააკეთებდით საფრთხის თავიდან ასაცილებლად?

ფინანსური უსაფრთხოება

ბარათი N6

სიტუაცია:

მაქვს დანაზოგი და მინდა ეს ფული კრიპტო ვალუტაში დავაბანდო, რომ მეტი მოგება მქონდეს. ფეისბუქზე ვიპოვე პიროვნება, რომელიც ამ აქტივების ყიდვაში დამეხმარება, სანაცვლოდ კი საკომისიო უნდა გადავურიცხო. ამ პიროვნებამ სმარტფონში სპეციალური აპლიკაცია გადმომაწერინა სავაჭროდ. საჭიროა სმარტფონში თან მობილბანკის აპლიკაციაც მქონდეს გახსნილი, რადგან შემდეგ ჩემი დანაზოგი ამ სავაჭრო პლატფორმაზე გადავიტანო. რადგან აპლიკაციებში კარგად ვერ ვერკვევი, ჩემს ტელეფონზე წვდომა ამ პიროვნებას მივეცი, რადგან თვითონ გააკეთოს საჭირო ოპერაციები.

კითხვები მსჯელობისთვის:

- არის თუ არა ეს სიტუაცია საეჭვო?
- თუ კი, რომელი ნაწილია საეჭვო? რომელი ნაწილია ჩვეულებრივი?
- რას გააკეთებდით საფრთხის თავიდან ასაცილებლად?

ფინანსური უსაფრთხოება